შპს დილაინი

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

DELINE
technology distribution

(ქართულ ლარში)

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5
1.ზოგადი ინფორმაცია 6
2.მომზადების საფუძვლები 6
3.სააღრიცხვო პოლიტიკა 7
4.სააღრიცხვო შეფასებები / განუსაზღვრელობის შეფასების წყაროები 13
5.ამონაგები (შემოსავალი) 15
6.გაყიდვის თვითღირებულება 15
7.სხვა შემოსავალი 15
8.საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 16
9.გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები 16
10.მარაგები 17
10.სავაჭრო მოთხოვნები 17
12.ფული და ფულის ეკვივალენტები 17
13.მიღებული/გაცემული სესხები 18
14.ფინანსური ინსტრუმენტები 18
15.ბალანსის შემდგომი მოვლენები 19

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
არამატერიალური აქტივები	12,693	14,687
საინვესტიციო ქონება	-	12,085
ძირითადი საშუალებები	9	10
	12,703	**26,782**
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	148,820	237,306
სავაჭრო მოთხოვნები	1,730,383	738,914
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2,049	2,036
საგადასახადო აქტივი		-
ფული და ფულის ეკვივალენტები	189,205	11,510
გაცემული სესხები	2,538,573	2,113,454
	4,609,030	**3,103,220**
სულ აქტივები	**4,621,733**	**3,130,002**
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	(500,200.00)	(500,200)
გაუნაწილებელი მოგება	(2,738,185.00)	(1,863,439.00)
	(3,238,385)	**(2,363,639)**
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
მიმდინარე ვალდებულებები		
მიღებული სესხები	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,310,680)	(716,388)
მომხარებლებისგან მიღებული ავანსები	(1,345)	(11,052)
საგადასახადო ვალდებულებები	(71,323)	(38,922)
	(1,383,348)	**(766,362)**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**(4,621,733)**	**(3,130,001)**

ერმილე სულაძე
დირექტორი

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
არამატერიალური აქტივები	12,693	14,687
საინვესტიციო ქონება	-	12,085
ძირითადი საშუალებები	9	10
	12,703	**26,782**
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	148,820	237,306
სავაჭრო მოთხოვნები	1,730,383	738,914
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2,049	2,036
საგადასახადო აქტივი		-
ფული და ფულის ეკვივალენტები	189,205	11,510
გაცემული სესხები	2,538,573	2,113,454
	4,609,030	**3,103,220**
სულ აქტივები	**4,621,733**	**3,130,002**
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	(500,200.00)	(500,200)
გაუნაწილებელი მოგება	(2,738,185.00)	(1,863,439.00)
	(3,238,385)	**(2,363,639)**
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
მიმდინარე ვალდებულებები		
მიღებული სესხები	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,310,680)	(716,388)
მომხარებლებისგან მიღებული ავანსები	(1,345)	(11,052)
საგადასახადო ვალდებულებები	(71,323)	(38,922)
	(1,383,348)	**(766,362)**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**(4,621,733)**	**(3,130,001)**

(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	2021	2020
შემოსავალი	19,870,225	17,476,909
გაყიდვის თვითღირებულება	(17,299,249)	(15,963,296)
საერთო მოგება	**2,570,976**	**1,513,612**
სხვა შემოსავალი	369,228	366,990
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(951,659)	(652,567)
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	9,074	(7,902)
სხვა ხარჯები	(124,231)	(7,652)
საოპერაციო მოგება	**1,873,387**	**1,212,481**
საპროცენტო შემოსავალი	2,007	
საპროცენტო ხარჯი	(1)	(101,301)
კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი წმინდა ზარალი	15,982	94,648
მოგება დაბეგვრამდე	**1,891,376**	**1,205,828**
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი	**1,891,376**	**1,205,828**

ერმილე სულაძე
დირექტორი

(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	2021	2020
შემოსავალი	19,870,225	17,476,909
გაყიდვის თვითღირებულება	(17,299,249)	(15,963,296)
საერთო მოგება	**2,570,976**	**1,513,612**
სხვა შემოსავალი	369,228	366,990
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(951,659)	(652,567)
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	9,074	(7,902)
სხვა ხარჯები	(124,231)	(7,652)
საოპერაციო მოგება	**1,873,387**	**1,212,481**
საპროცენტო შემოსავალი	2,007	
საპროცენტო ხარჯი	(1)	(101,301)
კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი წმინდა ზარალი	15,982	94,648
მოგება დაბეგვრამდე	**1,891,376**	**1,205,828**
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი	**1,891,376**	**1,205,828**

(ქართულ ლარში)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
2021 წლის 1 იანვრისთვის	500,200	1,863,439	2,363,639
მთლიანი სრული შემოსავალი		1,891,376	1,891,376
დივიდენდები		-1,016,630	-1,016,630
2021 წლის 31 დეკემბერისთვის	**500,200**	**2,738,185**	**3,238,385**

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
2020 წლის 1 იანვრისთვის	500,200	657,612	1,157,812
მთლიანი სრული შემოსავალი		1,205,827	1,205,827
2020 წლის 31 დეკემბერისთვის	**500,200**	**1,863,439**	**2,363,639**

ერმილე სულაძე
დირექტორი

(ქართულ ლარში)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
2021 წლის 1 იანვრისთვის	500,200	1,863,439	2,363,639
მთლიანი სრული შემოსავალი		1,891,376	1,891,376
დივიდენდები		-1,016,630	-1,016,630
2021 წლის 31 დეკემბერისთვის	**500,200**	**2,738,185**	**3,238,385**

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
2020 წლის 1 იანვრისთვის	500,200	657,612	1,157,812
მთლიანი სრული შემოსავალი		1,205,827	1,205,827
2020 წლის 31 დეკემბერისთვის	**500,200**	**1,863,439**	**2,363,639**

(ქართულ ლარში)

შპს დილაინი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს დილაინი (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2007 წლის აგვისტოში ,საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია : თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №17ა.

კომპანიის დირექტორები არიან : გურამ ხოჯანაშვილი და ერმილე სულაძე. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს IT დისტრიბუცია . საბითუმო ვაჭრობა კომპიუტერული ტექნიკითა და მოწყობილობებით.

მესაკუთრე: კომპანიის 90%-ანი წილის მფლობელია შპს იუ-ჯი-თი ჯგუფი. ხოლო 10%-ანი წილის მმართველი გურამ ხოჯანაშვილი.

2.მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ესცვლილებები გატარდა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

(ქართულ ლარში)

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2021 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

3.სააღრიცხვო პოლიტიკა

სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად

აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

კომპანიას მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**3.2766**	**4.0233**
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	**3.0976**	**3.5040**

(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16. ,,ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთის დარიცხვა ხდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე, იმისთვის რომ მოხდეს აქტივების გახარჯვა სრულად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. მიწას არ ერიცხება ცვეთა. ცვეთის ხარჯის დაანგარიშება, ყველა ჯგუფის ძირითადი საშუალებისისთვის ხდება წრფივი მეთოდით, შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა 3-5
ავტომობილები 7
იჯარით აღებული ოფისის კეთილმოწყობა 3-5
სხვა 3-7

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებას ფლობენ საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, მაგრამ არა გაყიდვის მიზნით ან საქონლის ან მომსახურების წარმოების ან მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით. კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი შემდგომი შეფასებისთვის.

მიწას არ ერიცხება ცვეთა. შენობის ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით (50 წელზე). სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია იმგვარად რომ მოხდეს აქტივის ღირებულების სრულად გახარჯვა სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

(ქართულ ლარში)

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მათი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯებში. კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირბეულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც

განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

(ქართულ ლარში)

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო(ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით.

კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. კომპანიის სესხები და მოთხოვნები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები სამ თვემდე ვადით მქონე აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

(ქართულ ლარში)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედისისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მიღებული სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებები აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

(ქართულ ლარში)

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

ხელფასები და მასთან დაკავშირებული ანაზღაურება

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება იმ წელს, როცა თანამშრომლისგან ხდება შესაბამისი მომსახურების მიღება

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს საქონლის საბითუმო და საცალო რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

(ქართულ ლარში)

დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე.დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები მოგების გადასახადის გარდა

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთანm დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

4.სააღრიცხვო შეფასებები / განუსაზღვრელობის შეფასების წყაროები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითად საშუალებებზე და საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

საგარანტიო ანარიცხები

კომპანია აღიარებს საგარანტიო ანარიცხებს იმ მომენტში როდესაც აღიარებს მასთან დაკავშირებულ შემოსავლებს. საგარანტიო ანარიცხების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ როცა არის საწარმოს მიმდინარე მოვალეობა წარმოშობილი წარსული მოვლენების შედეგად, სავარაუდოა, რომ მოვალეობების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის საიმედო შეფასება.

ამ შეფასების პროცესში თანდაყოლილი განუსაზღვრელობების გამო, ფაქტობრივი გარანტიის ხარჯები შესაძლოა განსხვავებული იყოს თავდაპირველი სავარაუდო შეფასებისგან.

საგარანტიო ანარიცხები ვალდებულებები აღიარებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველზე და მიზნად ისახავს გარანტიის ხარჯების ანაზღაურებას

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება.

ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

(ქართულ ლარში)

5. ამონაგები

	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	19,870,225	17,462,504
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	0	14,405
	19,870,225	**17,476,909**

6. გაყიდვის თვითღირებულება

	2021 წელი	2020 წელი
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(17,450,046)	(12,172,660)
მომწოდებლებისაგან სავაჭრო ურთიერთობების ფარგლებში მიღებული ბონუსები	172,782	161,444
ტრანსპორტირების ხარჯები	(21,055)	(13,043)
სხვა მიწოდების ხარჯები	(931)	(1,271)
დანახარჯების საქონლის რეალიზაციაზე სულ:	**(17,299,249)**	**(12,025,530)**

7. სხვა შემოსავალი

	2021 წელი	2020 წელი
მიღებული ფასდაკლება	355,353	361,952
სხვა	175,979	5,039
	531,332	366,991

(ქართულ ლარში)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021 წელი	2020 წელი
შრომის ანაზღაურება და სხვა სარგებელი	(373,708)	(300,463)
პრემიები	(577,952)	(250,448)
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,930)	(1,329)
იურიდიული მომსახურება	(52)	(81)
იჯარა	(77,274)	(75,316)
საკონსულტაციო ხარჯები	(17,710)	(19,690)
საწვავი და სატრანსპორტო ხარჯები	(1,271)	-
დაზღვევა	(3,216)	(2,502)
კომუნიკაციის ხარჯები	(1,424)	(1,424)
სხვა	(164,535)	(1,314)
	(1,220,071)	**(652,567)**

9. გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები

	2021 წელი	2020 წელი
წარმომადგენლობითი ხარჯი	(4,211)	(3,599)
მარკეტინგული ღონისძიებები	22,186	
მივლინებები	(4,231)	
საწევრო გადასახადი	(4,430)	(4,304)
სხვა მარკეტინგის ხარჯი	(240)	
	9,074	**(7,902)**

(ქართულ ლარში)

10. მარაგები

	2021 წელი	2020 წელი
საქონელი	148,820	237,306

11.სავაჭრო მოთხოვნები

	2021 წელი	2020 წელი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,342,577	328,850
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	387,806	410,063
	1,730,383	**738,914**

12.ფული და ფულის ეკვივალენტები

	2021 წელი	2020 წელი
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე	185,954	11,203
ფული სალაროში	3,258	307
	189,212	**11,510**

(ქართულ ლარში)

13.მიღებული/გაცემული სესხები

კომპანიას მოკავშირე საწარმოსთან გააჩნია საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება, რომლის ათვისება და დაფარვა დამოკიდებულია მიმდინარე ფინანსურ საჭიროებაზე. 2021 წლის ბოლოს მოქმედი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების პირობები ასეთია:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31დეკემბერი 2020	31დეკემბერი 2021
დამფუძნებელი/მიღებული	აშშ დოლარი		0	0
გაცემული	ლარი	13%	2,113,454	2,538,573

14.ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები/ვალდებულებები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან შედგება საქონლის და მომსახურების მიწოდებით [მათ შორის მოკავშირე საწარმოებზე] მისაღები თანხებისაგან. მისაღები თანხები გამოხატულია აშშ დოლარსა და ლარში დაფარვის ვადა უმეტესად 1 დან 3 თვემდეა. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება ფაქტიური ღირებულებით. თუ ფულის ღირებულების ეფექტი არა არსებითია შემდგომი შეფასებისას სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია პირვანდელი, ფაქტიური ღირებულებით და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. . იქ სადაც არსებითია ფულის ღირებულება აღრიცხვა ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულებით და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.
სავაჭრო ვალდებულებები შედგება საქონლის და მომსახურების შეძენის შედეგად [მათ შორის მოკავშირე საწარმოებისაგან] გადასახდელი თანხებისაგან. გადასახდელი თანხები ძირითადად გამოხატულია აშშ დოლარში და დაფარვის ვადა უმეტესად 1 დან 3 თვემდეა. სავაჭრო ვალდებულებების აღიარდება
ფაქტიური ღირებულებით. თუ ფულის ღირებულების ეფექტი არა არსებითია შემდგომი შეფასებისას სავაჭრო ვალდებულებები აღრიცხულია პირვანდელი, ფაქტიური ღირებულებით. იქ სადაც არსებითია ფულის ღირებულება აღრიცხვა ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულებით.

(ქართულ ლარში)

ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების უმეტესობა გამოხატულია აშშ დოლარშიკომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

ლიკვიდირების რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით:იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული ლიკვიდურობის რისკი კომპამოა მუდმივად ახორციელებს ფულადი ნაკადების როგორც შემოსავლების ასევე გასავლების დეტალურ დაგემგვასა და კონტროლს კვირის, თვის და კვარტლის ჭრილში. (მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები და სავაჭრო ვალდებულებები სრულად მოკლევადიანია 1-3 თვემდე დაფარვის ვადით.)
ფულადი სახსრების დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებამდე ხორციელდება ანალიზი თუ რა ზეგავლენა ექნება თარიღების ჭრილში ახალ ვალდებულებებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ასევე კომპანია ლიკვიდურობის რისკის სამართავად იყენებს საბანკო სესხს, გადახდის გარანტიებს და სხვა საბანკო პროდუქტებს

15. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც უნდა გაშიფრულიყო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.